საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, ნოემბერ-დეკემბერი, 1993 წ., მუხ. 223) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ:

ა) იგი იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ;

ბ) იგი წარადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი, რომლითაც მას აკრძალული აქვს საქართველოდან გასვლა.“.

2. 22-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ბ^{1}) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი, რომლითაც მას აკრძალული აქვს საქართველოდან გასვლა;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

3 სექტემბერი 2025 წ.

N957-IVმს-XIმპ